ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიცია ხევსურეთში – 2012

ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

UDC (უაკ) [303.4.02+1.01] (479.22)

ს–223

© ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტი

თბილისი, ჯ. ბაგრატიონის 6, 0160.

ტელ: (+995 32) 2384406

აღნიშნული კრებული თავისუფლად ვრცელდება ელექტრონულ ფორმატში. დაუშვებელია აღნიშნული კრებულის ან მისი რომელიმე ნაწილის გამოყენება კომერციული მიზნებით ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის მიერ გაცემული წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

გარეკანზე: ხევსურეთში ჩატარებული ექსპედიციის წევრები. მარცხნიდან მარჯვნივ: გიორგი ბერელიძე, შორენა ხუბუტია, სალომე ხაჩიძე, გიორგი თავაძე, მეგი მაჩაბელი, ნინო მამამთავრიშვილი, შალვა ბახსოლიანი, ლევან ხუცინაშვილი. შატილი, 2012 წლის 26 ივლისი. © ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტი

ISBN 978-9941-0-6007-6

თბილისი

2013

სარჩევი

გიორგი თავაძე	4
შალვა ბახსოლიანი	6
ნინო მამამთავრიშვილი	10
მეგი მაჩაბელი	14
სალომე ხაჩიძე	19
შორენა ხუბუტია	22
ლევან ხუცინაშვილი	28
ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის მიერ გამოცემული სამეცნიერო ნაშრომების ნუსხა	32

მოგესალმებით! მე გახლავართ გიორგი თავაძე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი. 2012 წლის ზაფხულში ვხელმძღვანელობდი პირიქითა ხევსურეთში ჩატარებულ ექსპედიციას, რომელიც ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებითა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დაფინანსებით ჩატარდა. ექსპედიციის მიზანი იყო ადგილებისა და იდენტობების ურთიერთქმედების შესწავლა[1] და მასში მონაწილეობას იღებდნენ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტები: შალვა ბახსოლიანი (ტურიზმის მიმართულება), გიორგი ბერელიძე (ოპერატორი, ჟურნალისტიკის მიმართულება), ნინო მამამთავრიშვილი (სოციოლოგიის მიმართულება), მეგი მაჩაბელი (სოციოლოგიის მიმართულება), სალომე ხაჩიძე (სოციოლოგიის მიმართულება), შორენა ხუბუტია (ჟურნალისტიკის მიმართულება) და ლევან ხუცინაშვილი (სოციოლოგიის მიმართულება).

წინამდებარე კრებულში შესულია ექსპედიციის მონაწილე სტუდენტების შთაბეჭდილებები.[2] ვფიქრობ, ეს მცირე კრებული დააინტერესებს არა მხოლოდ სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტებს, არამედ მკითხველთა ფართო წრესაც,

[1] ინფორმაცია ამ პროექტის შესახებ, ასევე, ექსპედიციის ფარგლებში გადაღებული დოკუმენტური ფილმის ბმულები შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-გვერდზე: http://gruni.edu.ge/menu_id/993/lang/1/adgili_da_identoba. ექსპედიციის მუშაობის ამსახველი ფოტომასალა შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: https://www.facebook.com/media/set/?set=a.438342016229369.104243.106586836071557&type=3

[2] ექსპედიციის შედეგები შეჯამებულია ჩემს ნაშრომში „შატილი ფილოსოფიური გეოგრაფიის პერსპექტივიდან“ (თბილისი: „ნეკერი“, 2013 წ.).

რადგან ის მოგვითხრობს საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი ადგილის – შატილის შესახებ. მკითხველი გაიგებს, თუ რა პრობლემები აწუხებთ შატილის და, ზოგადად, ხევსურეთის მაცხოვრებლებს. ძალიან საინტერესოა ისიც, რომ ყოველივე ეს სტუდენტური პერსპექტივიდანაა დანახული და გააზრებული. ჩვენ არა მხოლოდ უნდა ვფლობდეთ ინფორმაციას ადგილის შესახებ, არამედ იმის წვდომასაც უნდა ვეცადოთ, თუ როგორ ფუნქციონირებს ადგილი, რა პროცესები ახდენს მასზე გავლენას და როგორ ურთიერთქმედებენ ადამიანები მოცემულ ადგილთან. ვფიქრობ, ამით საკუთარ თავსაც უკეთ გავიაზრებთ, რადგან ადამიანური არსებობა ყოველთვის ადგილებშია ჩაფესვილი და მათი მეშვეობით სულდგმულობს.

გიორგი თავაძე
5 ოქტომბერი, 2013 წელი
ვერონა, საქართველო

შალვა ბახსოლიანი

2012 წლის აპრილში გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის და მართვის სკოლის დეკანმა, ბატონმა მურთაზ კვირკაიამ მითხრა, რომ ეწყობოდა სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიცია შატილში. ექსპედიციაში მონაწილეობას იღებდნენ სოციოლოგიისა და ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტები. ბატონმა მურთაზმა მითხრა, რომ ექსპედიციის ხელმძღვანელს, ბატონ გიორგი თავაძეს, სჭირდებოდა სტუდენტი ტურიზმის მიმართულებიდან. მე სიამოვნებით დავთანხმდი შემოთავაზებას. ასე გავხდი ხევსურეთის ექსპედიციის ჯგუფის წევრი.

ჩემი ამოცანები შემდეგში მდგომარეობდა: უნდა გამერკვია შატილში არსებული სასტუმროების რაოდენობა და ტიპები, ადგილების რაოდენობა, ფასების დონე, ფასდაკლებები, კვებითი მომსახურება, სასტუმროების დატვირთვა, ტურისტების რაოდენობა, არსებული ტურისტული სერვისები, ტურისტების კმაყოფილების დონე და ა.შ.

შატილში ყოფნის განმავლობაში შევისწავლე არსებული საოჯახო სასტუმროები, გავეცანი მათ სერვისებს, დავაკვირდი ტურისტების ჩამოსვლის ინტენსივობას, მათ ეთნიკურ კუთვნილებას. გავეცანი მათი გადაადგილების მარშრუტებს და კმაყოფილების დონეს. შატილელებთან ერთად განვიხილე ტურიზმის განვითარების პერსპექტივები. გარდა ამისა, გავიარე შატილიდან უახლოესი ერთდღიანი საფეხმავლო მარშრუტები. ვფიქრობ, რომ შატილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული ადგილია, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ დაფასებული.

შატილისათვის უმნიშვნელოვანესია ქვითკირების მდგომარეობა, უფრო მეტიც,

ტურიზმის შემდგომი განვითარებისათვის ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ქვითკირების არარსებობის შემთხვევაში ტურისტების დაინტერესება, ფაქტიურად, გაქრება, რაც პირდაპირპროპორციულად იმოქმედებს ადგილობრივი მოსახლეობის მიგრაციაზე, რადგან ტურიზმი (მეფუტკრეობასთან ერთად) ადგილობრივი მოსახლეობისათვის შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. როგორც ზემოთ ავღნიშნე, თუ არ იქნება ქვითკირები, არ იქნება ტურისტების დაინტერესებაც. ყოველივე ეს ნიშნავს შემოსავლების არარსებობას. შემოსავლის გარეშე კი შეუძლებელი გახდება ისეთ რთულ პირობებში ცხოვრება, როგორიც შატილშია.

აღსანიშნავია, რომ შატილის კომპლექსში შესვლა აბსოლუტურად თავისუფალია, ანუ უფასოა. ეს, ჩემი აზრით, არასასურველია. კარგი იქნებოდა, რომ შესვლა იყოს ფასიანი (რასაკვირველია, ადეკვატური ფასით). კომპლექსი უნდა იყოს შემოღობილი, თუნდაც იმიტომ, რომ მსხვილფეხა საქონელს არ ჰქონდეს შიგნით შესვლის საშუალება. შემოღობვის და შესვლაზე გადასახადის დაწესების შემთხვევაში, რასაკვირველია, აუცილებელი იქნება დარაჯი, გიდი, დამლაგებელი და ა.შ. ეს, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს კომპლექსის შენარჩუნებას და მეორე მხრივ, შექმნის სამუშაო ადგილებს, რაც ადგილობრივი მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამასთანავე, სამსახური გარკვეულწილად „მიაჯაჭვავს" ადამიანს ამ ადგილს და მიგრაციის შემცირებას შეუწყობს ხელს.

ტურისტების ნაკადი შატილს განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შაბათ-კვირით აწყდება. მათი უმრავლესობა მდინარე არღუნის ხეობაში ათევს ღამეს კარვებში. მათი ვიზიტები, ფაქტიურად, არანაირ სარგებელს არ აძლევს არც შატილს და არც მოსახლეობას. უმეტეს შემთხვევაში, ისინი ნაგვის მეტს არაფერს ტოვებენ, ზოგიერთი ტურისტის ქცევა კი ქვითკირებთან მიმართებაში ვანდალიზმია და მეტი არაფერი. ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ქვითკირებში მათ ქცევას არავინ აკონტროლებს.

შატილის კომპლექსში არის პატარა მუზეუმიც, რომელიც, ფუნქციონირების შემთხვევაში, შემოსავალს მოიტანდა. სამწუხაროდ, მუზეუმი თითქმის სულ დაკეტილია და არავითარი აღმნიშვნელი ნიშანი არა აქვს. მუზეუმის არგამოყენება დიდი შეცდომაა, რადგან ამით კომპლექსი ყოველდღე კარგავს შემოსავალს. ფუნქციონირების შემთხვევაში მუზეუმი დამატებით ინფორმაციას მიაწვდიდა ტურისტებს შატილისა და შატილელების შესახებ.

შატილში არ არსებობს, აგრეთვე, საზოგადოებრივი კვების ობიექტი, არ არსებობს სუვენირების მაღაზიაც. ერთადერთ მაღაზიაში, რომელიც შატილშია,

პროდუქციის მცირე ასორტიმენტი და გაბერილი ფასებია, რაც უარყოფითად მოქმედებს ტურისტებზე.

მოკლე სეზონის გარდა, შატილისათვის უდიდესი პრობლემაა გზის არარსებობა, შატილი სულ რაღაც 160 კმ-ითაა დაშორებული თბილისიდან და ამ მანძილის დაფარვას სამარშუტო ტაქსი 5-6 საათს ანდომებს. ასფალტის საფარის არსებობის შემთხვევაში, ეს დრო, რა თქმა უნდა, ბევრად ნაკლები იქნებოდა.

მიუხედავად ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემისა, შატილი ტურისტების ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივის და სათანადო ყურადღების და სწორი დაგეგმვის შემთხვევაში, ტურიზმი კარგ მოგებას მოუტანს შატილს.

შატილში ამჟამად არის 4 სასტუმრო. გარდა ამისა, ახალ შატილში (შატილის უბანია) არის 5 სახლი, სადაც ღამისთევაა შესაძლებელი. საერთო ჯამში, ადგილების რაოდენობა (კერძო სახლების ჩათვლით) 120-ს აღწევს.

შეიძლება ითქვას, რომ შატილში გამართულად მუშაობს ოთხი სასტუმრო, ორი კომპლექსის შიგნით და ორიც კომპლექსის გარეთ. ამ ოთხ საოჯახო სასტუმროს ერთდროულად შეუძლია, მიიღოს დაახლოებით 70 ტურისტი. ფასები მცირედ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ფასწარმოქმნაზე სხვადასხვა ფაქტორები მოქმედებს. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია კვირის დღეები (შუა კვირაში ღამისთევა უფრო იაფია, ვიდრე შაბათ-კვირას), ასევე, დღის მონაკვეთიც (საღამოს ტურისტმა, შესაძლოა, უფრო იაფად იქირაოს ნომერი, ვიდრე დილით). ფასს განაპირობებს დარჩენის ხანგრძლივობა და ეთნიკური კუთვნილება, (უცხოელებისთვის უფრო მაღალი ტარიფებია, ვიდრე ქართველებისთვის) ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ სასტუმრო მენეჯმენტი ჯერ კიდევ არ არის განვითარებული სათანადო დონეზე.

როგორც აღვნიშნე, ცალკე არსებული კვების პუნქტი შატილში არ არსებობს, რაც ჩემი აზრით, დიდი ნაკლია. შუა კვირაში შატილს, უმეტესწილად უცხოელები სტუმრობენ. ტურისტების რაოდენობა მეტად მერყევია. ძირითადი დატვირთვა შაბათ-კვირაზე მოდის (100-150 ტურისტი). ტურისტები, ძირითადად, თავისი შედგენილი მარშრუტებით ხელმძღვანელობენ. ტურ-ოპერატორების მიერ შემოყვანილი ტურისტები, უმეტესწილად, საცხენოსნო ტურებით სარგებლობენ და შატილიდან გადადიან თუშეთში. ძირითადი მოსანახულებელი დესტინაციები მუცო და შატილია, იშვიათად არდოტიც. ტურისტების უმრავლეობა ღამეს შატილში ათევს. შესაძლო ტურისტული მომსახურეობები თითქმის არ არის, გიდები და გამყოლები ფაქტიურად არ არიან. რაც შეეხება დამოკიდებულებას ხევსურებსა და ტურისტებს შორის, შეიძლება ითქვას, რომ ის იდეალურია. ერთი თვის განმავლობაში არ შემიმჩნევია ადგილობრივების უარყოფითი დამოკიდებულება

ტურისტების მიმართ. რაც შეეხება ტურისტების ეთნიკურ შემადგენლობას, ის საკმაოდ ჭრელია: გერმანელები, ებრაელები, ნორვეგიელები, იაპონელები, ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმომადგენლები და ა. შ.

შეჯამების სახით მივუთითებ შატილში არსებულ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს.

პრობლემები:

ხალხის მიგრაცია, ქვითკირების მძიმე მდგომარეობა, გზის მდგომარეობა, კვების პუნქტის არარსებობა, გიდების მცირე რაოდენობა (1!) და მათი კვალიფიკაციის დონე, უდიერი დამოკიდებულება ქვითკირებისადმი, ბუნკერების არარსებობა, მუზეუმის უფუნქციობა, საპირფარეშოების სიმცირე და მათი მდგომარეობა.

წინადადებები:

კომპლექსის დაცვა (სასურველია, კომპლექსში შესვლა იყოს ფასიანი როგორც უფლისციხეში), გამყოლის დანიშვნა, საკემპინგე ადგილების კეთილმოწყობა, ტურიტებისათვის გამაფრთხილებელი ნიშნების შექმნა (რათა ისინი არ შევიდნენ საკრალურ ადგილებზე), გზების შეკეთება, კვების პუნქტის გახსნა.

ნინო მამამთავრიშვილი

მოგესალმებით! მე ვარ ნინო მამამთავრიშვილი, ხევსურეთის ექსპედიციის წევრი. მინდა, მოგიყვეთ იმ შთაბეჭდილებების შესახებ, რომლებიც ამ ექსპედიციის დროს შევიძინე. ექსპედიციაში მონაწილეობას დავთანხმდი იმიტომ, რომ ეს ჩემთვის იქნებოდა გამოცდილების მიღების, პროფესიული უნარების ამაღლებისა და დახვეწის საშუალება. გარდა ამისა, მომხიბლა თავად ეთნოგრაფიული კვლევის იდეამ, ადგილობრივებთან ჩართული დაკვირვების განხორციელების შესაძლებლობამ. ხევსურეთში წასვლამდე ჩვენი გუნდი ყოველი კვირის ბოლოს იკრიბებოდა და განვიხილავდით სხვადასხვა საკითხებს, ვადგენდით სადისკუსიო გეგმას, ჯგუფის ხელმძღვანელის, ბატონი გიორგი თავაძის მითითებით ვეცნობოდით ლიტერატურას შატილისა და ხევსურეთის შესახებ. ჩვენი ლექტორი, ბატონი ირაკლი კახიძე გვესაუბრებოდა კვლევის მეთოდოლოგიების შესახებ, გვიტარებდა ტრენინგებს და გვიხსნიდა სხვადასხვა ნიუანსებს. ამ შეხვედრებმა და ტრენინგებმა ბევრი რამ შემძინა.

შატილი თავისი კოშკებით ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უნიკალური ძეგლია, რომელიც ახლა უმძიმეს მდგომარეობაშია და დახმარებას საჭიროებს.

ჩემთვის ეს ერთი თვე საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი და უძველესი ისტორიული მხარის უკეთ შეცნობის პერიოდი იყო. იქ ყოფნა ჩემთვის დიდი გამოცდილების მიღების საშუალება აღმოჩნდა. შატილში გატარებული დრო დამეხმარა, უკეთ გამეცნო შატილიონების ცხოვრების პირობები, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები და ეს ყველაფერი სოციოლოგიურ ჭრილში გამეაზრებინა.

პირველი კვირა საინტერესო იყო იმ მხრივ, რომ დავათვალიერეთ შატილის შემოგარენი და გავეცანით ადგილობრივებს. ჩასვლიდან მეორე დღეს ჩვენ შევუდექით შატილის ისტორიული ძეგლების დათვალიერებას, მოვინახულეთ ქაჩუს ციხე, რომელიც საჭიროებს სასწრაფო რესტავრაციას. ციხე დანგრევის პირასაა მისული, ამიტომაც შიგნით შესვლა ვერ მოვახერხეთ. ციხის შუაგულში იფნის ხეა ამოსული და თუ ეს ხე არ მოიჭრა, ის რაც საუკუნეებმა და მტრის შემოსევებმა ვერ დაანგრია, ადამიანთა უყურადღებობის და გულგრილობის გამო დაინგრევა. ეს ციხე გამოირჩევა იმით, რომ, გადმოცემის თანახმად, იქ პირველი შატილივნები ცხოვრობდნენ.

პირველი კვირა შატილელებთან დაახლოებას დავუთმე. შევეცადე, გამეგო მათი პრობლემები. მთაში ცხოვრება ხომ ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ბარში. პირველად კონტაქტებს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. ამაზე დიდწილადაა დამოკიდებული შემდგომი კვლევის ბედი. ზაფხულში შატილში დაახლოებით 16 ოჯახი იყრის თავს, ხოლო ზამთარში მათი რიცხვი 5 -7 ოჯახამდე კლებულობს. ეს გამოწვეულია როგორც ბუნებრივი, ასევე მატერიალური პირობებით. გარესამყაროსთან შატილს არღუნის ხეობაში გამავალი ერთადერთი ვიწრო გზა აკავშირებს. წლის განმავლობაში პირიქითა ხევსურეთი 6-7 თვე თითქმის პარალიზებულია, რადგან ამ პერიოდში სამანქანო გზა არ ფუნქციონირებს და ვერტმფრენიც იშვიათად დაფრინავს თბილისიდან შატილში.

მეორე კვირიდან გვევალებოდა ჩართული დაკვირვების წარმოება. ჩართული დაკვირვება გულისხმობს იმ ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებას, ვისაც აკვირდები. სწორედ ამიტომ მე და ჩემმა მეგობარმა სალომემ ვაწარმოეთ ჩართული დაკვირვება შატილის ერთ-ერთ მაცხოვრებელთან, რომელსაც საოჯახო სასტუმრო აქვს შატილში. ჩვენ ვაკვირდებოდით, თუ როგორ ხვდებოდა მასპინძელი უცხოელ სტუმრებს, თუ რას უყვებოდა იგი უცხოელებს შატილის შესახებ. მე მასპინძელს მივეხმარე კერძების მომზადებაში. ვცდილობდი, მეტი დრო გამეტარებინა იქ, რათა უფრო მეტი გამეგო და დამემახსოვრებინა. მასპინძელი ცდილობდა, ყველაფერი გაეკეთებინა იმისათვის, რათა საუკეთესო კუთხით წარმოეჩინა შატილი. მასთან ურთიერთობა კარგად აეწყო, თუმცა რამდენჯერმე შეიქმნა ისეთი სიტუაცია, როდესაც ჩართული დაკვირვების წარმოება გამიჭირდა. ასე ვთქვათ, ერთი-ორჯერ თავი ზედმეტად ვიგრძენი, მაგრამ ამ დროს თავს ვახსენებდი, რომ სოცოლოგი ვარ და ჩართულ დაკვირვებას ვახორციელებ. ეს ძალას მმატებდა და მეხმარებოდა იმ სირთულეების დაძლევაში, რომლებიც მოულოდნელად წარმოიქმნებოდნენ ხოლმე.

ყოველდღიური საქმის შემდეგ ვაწყობდით შემოქმედებით საღამოებს ფანდურის და კოცონის თანხლებით, სადაც დები ჭინჭარაულები ასრულებდნენ სიმღერებს. ჯგუფის ხელმძღვანელთან, ბატონ გიორგი თავაძესთან ერთად, ერთ-ერთ საღამოს ადგილობრივების თანხლებით, შატილის ქვითკირებში წავიკითხეთ ხევსურული ანდრეზები, რითაც შატილიონები სასიამოვნოდ გაოცებულნი დარჩნენ. ყოველ საღამოს მთელი შემოქმედებითი ჯგუფი ერთად ვუყურებდით ფილმებს და ვკითხულობდით სხვადასხვა ნაწარმოებებს. ჩემთვის ყველაზე დასამახსოვრებელი იყო გრიგოლ რობაქიძის პატარა მოთხრობა „ენგადი“, რომელშიც საკმაოდ შთამბეჭდავადაა აღწერილი ხევსურული სწორფრობის ტრადიცია. მეორე კვირის მიწურულს შატილის მაცხოვრებლებთან კარგი ურთიერთობა გვქონდა და შატილის მიდამოებს კარგად ვიცნობდით.

მესამე კვირა ბევრი საინტერესო თავგადასავლით იყო დატვირთული. ამ კვირის კონკრეტული დავალება იყო რესპონდენტების არჩევა, მათი დათანხმება ინტერვიუზე და სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარება.

პირველი ინტერვიუ საკმაოდ ნაყოფიერი იყო რესპონდენტმა ყველა ჩემს დასმულ კითხვას საკმაოდ ვრცლად გასცა პასუხი. შემდეგ რესპონდენტად ქალი ამოვირჩიე, რომელმაც საკმაოდ ბევრი საინტერესო ინფორმაცია მომაწოდა. ამ ქალბატონის პოზიციით ჩემთვის ნათელი გახდა, რომ შატილში გენდერი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილების კონტექსტში. ჩვენი ექსპედიციის მიზანი ხომ სწორედ ადგილსა და იდენტობას შორის არსებული კავშირების შესწავლა იყო.

მეორე კვირის ბოლოს მოვაწყვეთ ლაშქრობა სოფელ მუცოში, რომელიც შატილიდან 12 კმ-ის მოშორებითაა. დამღლელი გზის მიუხედავად, მუცოში მიღებული შთაბეჭდილებებით ყველანი აღფრთოვანებულები ვიყავით. მუცოში მიმავლებს მეტად შთამბეჭდავი ხედები გადაგვეშალა თვალწინ. მუცოში ყველაზე დასამახსოვრებელი იყო ბუმბერაზ მთაზე აშოლტილი ისტორიული კოშკები, განსაკუთრებით კი თორღვას ციხე, რომელიც კლდის განაპირასაა მოქცეული. ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ ამჟამად მუცოში მხოლოდ ერთი ოჯახი ცხოვრობს მუდმივად და ქვითკირების მდგომარეობაც საკმაოდ მძიმეა. ჩვენ ქვითკირებში შესვლა ვერ მოვახერხეთ, რადგან ასვლისთანავე კოკისპირული წვიმა დაიწყო. სიპი კლდეები ასეთ დროს საკმაოდ სახიფათოა და არ გავრისკეთ. ცოტათი გული დაგვწყდა, თუმცა, როგორც აღვნიშნე, ხედებმა იმდენად მოგვხიბლა, რომ თითქმის სრულიად გააქარწყლა ჩვენი წუხილი. გარდა ამისა, ყველანი საკმაოდ დავსველდით და ამაზეც კარგად ვიხალისეთ.

მეოთხე კვირა კიდევ უფრო მეტი ემოციებით იყო დატვირთული. ვიყავით შატილისწყლისა და მდნარე მითხულის შესართავთან. გზად ჩავუარეთ შატილის ჰესს, რომელიც საკმაოდ ცუდ მდგომარეობაშია და შეკეთებას საჭიროებს. მდინარე მითხულისა და შატილისწყლის შესართავი ყველამ ერთად ვიხილეთ. იქაურობა თვალისმომჭრელად ლამაზი იყო. კლდეებს შორის მთის წვერიდან მომავალი მდინარე მითხულა ულამაზესად მოაპობდა მთებს. თუმცა, გოგოებმა გზის გაგრძელება მეტად ვეღარ შევძელით. მითხულას აღმა აუყვნენ ბატონი გიორგი, შალვა და ლევანი.

ვფიქრობ, რომ ჩვენი ექსპედიცია წარმატებული იყო. იმედი მაქვს, რომ უახლოეს მომავალში მოხდება შატილის და მუცოს სრული თუ არა, ნაწილობრივი რესტავრაცია მაინც, რადგან ეს ძეგლები უმძიმეს მდგომარეობაშია და აუცილებელია მათთვის მეტი ყურადღების დათმობა. ასეთ ისტორიულ ძეგლებს უნდა გავუფრთხილდეთ. ვფიქრობ, რომ სათანადო ყურადღების შემთხვევაში, ხევსურეთი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული კერა გახდება საქართველოში.

დაბოლოს, მადლობა მინდა გადავუხადო ყველას: ექსპედიციის ხელმძღვანელებს და ჩემს მეგობრებს. ექსპედიციის შედეგად დიდი გამოცდილება შევიძინე. ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩემი შთაბეჭდილებების გაზიარების საშუალება მომეცა. ვიმედოვნებ, რომ ეს შთაბეჭდილებები სხვა სოციოლოგებისთვისაც საინტერესო იქნება.

მეგი მაჩაბელი

მოგესალმებით, მე ვარ მეგი მაჩაბელი, სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტი, ხევსურეთის ექსპედიციის ერთ-ერთი წევრი.

ექსპედიციის შესახებ ბატონი გიორგი თავაძისაგან შევიტყვე. მან ჯგუფში განცხადება გააკეთა, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებოდათ, მონაწილეობა მიეღოთ ისეთ პროექტში „ადგილი და იდენტობა“. სწავლის მოტივაცია ერთი-ორად გამეზარდა, რომ შემძლებოდა ექსპედიციაში მონაწილეობა მიმეღო. ჩემი მოლოდინი და შრომისმოყვარეობა გამართლდა და გავხდი კვლევის ერთ-ერთი მონაწილე.

სამი თვის განმავლობაში ვემზადებოდით შატილში წასასვლელად. ვიკრიბებოდით, ვსაუბრობდით, გვიტარდებოდა სპეციალური ტრენინგები, რადგან იქ წასულებს საქმე გვცოდნოდა. ტრენინგებს გვიტარებდნენ ექსპედიციის ხელმძღვანელი ბატონი გიორგი თავაძე და ემპირიული სოციოლოგიის ლექტორი ბატონი ირაკლი კახიძე. სამი თვის განმავლობაში გავეცანით მასალებს ზოგადად ხევსურეთის, კერძოდ კი შატილის შესახებ (წავიკითხეთ ზ. კიკნაძის „ანდრეზები“, ს. მაკალათიას „ხევსურეთი“, „მყივანა წისქვილები“, „ფოლკლორული ლექსიკონი“,

მ. ჭინჭარაულის „შატილი და შატილელები“ და ა.შ.). საბოლოო ჯამში, სამმა თვემ მოგვცა ის, რომ შატილში ჩასულებს გვქონდა ის მცირე და მნიშვნელოვანი მონაცემები, რომელიც იქ აუცილებლად დაგვჭირდებოდა. მოგეხსენებათ, ჩვენი კვლევა ეხებოდა თემას „ადგილი და იდენტობა“, ამიტომ საჭირო იყო შატილის, როგორც ადგილის, მთლიანი შესწავლა.

ბოლო შეკრების დროს უკვე ვგრძნობდი, რომ წინ ძალიან დიდი გამოცდილება, შთაბეჭდილებები და ემოციები მელოდა.

შატილში 1 ივლისს გავემგზავრეთ. ბარისახოში მისულს წინ ულამაზესი ხედები გადაგვეშალა. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის 6 საათი ვმგზავრობდით, დრო ახალ–ახალმა ხედებმა გაგვაყვანინა. სიმართლე გითხრათ, ვიცოდი, რომ ლამაზი ადგილები იყო ხევსურეთში, სურათებში მქონდა ნანახი, მაგრამ ამას მართლაც არ ველოდი. ამიტომ არის ნათქვამი: „გაგონილს ნანახი ჯობიაო“. მაშინ პირველად დავრწმუნდი, რომ ბედნიერი ვიყავი იმით, რომ მე ხევსურეთის ექსპედიციის წევრებს შორის მოვხვდი. მივდიოდი, მაგრამ ველოდი უფრო განსაკუთრებულს და ვფიქრობდი, რომ ეს აუცილებლად შატილი იქნებოდა.

პირველი დღე საცხოვრებელში დაბინავებას მიეძღვნა. კიდევ ერთხელ გადავინაწილეთ ფუნქციები და როლები, რადგან მეორე დღიდან მკვლევარების როლი უნდა შეგვეთავსებინა.

სიმართლე გითხრათ, პირველი დღეები იმის გარდა, რომ ბუნებით დავმტკბარიყავი, სხვას ვერაფერს ვუდებდი გულს. გაოცებული სახით ვათვალიერებდი ყველაფერს. მეორე დღესვე ბატონმა გიორგიმ ქაჩუს ციხის სანახავად წაგვიყვანა, ვნახეთ შატილის სავიზიტო ბარათი – ქვითკირები. მაგრამ ეს იყო მხოლოდ დანახვა, ყველაფერი მხოლოდ მაშინ შემიყვარდა, როცა უკეთ გავიცანი იქაურობა.

პირველი ერთი კვირა ვცდილობდით, ხალხში გავრეულიყავით, გაგვეცნო ისინი, დაგვეთვალიერებინა ყველაფერი, რადგან შემდგომში მათგან მეტი ინფორმაცია მიგვეღო. თავიდან ყველაფერი რთულად მეჩვენებოდა. შატილში სეზონის ოთხივე დროს 7 ოჯახი ცხოვრობს, ზაფხულში კი მათი რიცხვი 14–16–მდე იზრდება. ჩვენ კვირის ბოლომდე უნდა შეგვერჩია ოჯახები, რომლებზე დაკვირვებასაც მოვახდენდით. ჩემი რესპონდენტი ოჯახი შატილის ერთ-ერთ უბანში, ჭალაში, ცხოვრობდა. მის მეუღლეს მარო ბებო ერქვა. თავიდან მომეჩვენა, რომ ხევსურები რთული ხასიათის ხალხი იყვნენ, მაგრამ საკმარისია, ისინი უკეთ გაიცნო, რომ საკმაოდ თბილად შემოდიან ურთიერთობაში. მარო ბებოსთან ყოფნით გავიგე, რომ ხევსურეთში ქალების ცხოვრება რთულია, მაგრამ ადრინდელ

ყოფასთან შედარებით – იოლი. იქ ყოფნის დროს, ზოგჯერ ჩემდა უნებურადაც კი, ყურადღებას ვამახვილებდი ისეთ საკითხებზე, როგორიცაა გენდერი. იქ ქალების როლი ისეთ მნიშვნელოვან დღეს, როგორიცაა ათენგენობა, ფაქტობრივად, ძალიან დაბალია, ანუ ქალები მონაწილეობას არ იღებენ რიტუალებში და მათთვის განკუთვნილი სუფრაც ცალკე იშლება. მინდა გითხრათ, რომ ხევსურეთში ქალებთან კონტაქტი საკმაოდ რთულია. ისინი ხშირად ცდილობენ თავის არიდებასა და სასაუბროდ მეუღლეებზე მიგითითებენ, მაგრამ, მიუხედავად სირთულეებისა, მარო ბებოსთან კარგი ურთიერთობის დამყარება შევძელი და იქ ყოფნის დროს ბევრ რამეში მასთან ერთად მივიღე მონაწილეობა. ეს იყო საქონლის წველა, პურის ცხობა, სარეცხის წურვა და სიმინდის გაცრა. საბოლოო ჯამში, მასთან ჩართულმა დაკვირვებამ მომცა ის ინფორმაცია, რომ ხევსური ქალის ყოველდღიური ცხოვრება შატილში რთული და დამღლელია. მარო ბებოს დილა საუზმის მზადებით იწყებოდა. შუადღეს იგი ჩუმი, „ფუსფუსა“ საქმით იყო დაკავებული. საღამოს იშვიათად ვახერხებდი ჩემს რესპონდენტებთან სტუმრობას, რადგან მთელი დღის დაღლილებს საუბრისთვის ნაკლებად ეცალათ. ვცდილობდი მათთან საღამოობით ურთიერთობას, მაგრამ ამაოდ. სამწუხაროდ, ცდა იმისა, რომ ზემოაღნიშნული ბარიერი გადამელახა, წარუმატებელი აღმოჩნდა.

ინტერვიუ ბატონ ზვიად ჭინჭარაულთან ჩავწერე. ინტერვიუს პროცესი საინტერესო იყო. ვეკითხებოდი თითქმის ყველაფერს, რაც შატილს უკავშირდებოდა. ინტერვიუს დროს ვხელმძღვანელობდი წინასწარ შედგენილი სადისკუსიო გეგმით. თავად ინტერვიუს პროცესი ერთი საათი ან, საათნახევარი გრძელდებოდა. ინტერვიუს შემდეგ ვაკეთებდით მის ტრანსკრიპტს, შემდეგ კი ბატონ გიორგისთან ერთად განვიხილავდით.

საბოლოო ჯამში, მივხვდი იმას, რომ შატილიონებისათვის შატილი ძალიან ძვირფასია. ყველაზე მეტად კი ჩემი რესპონდენტის ერთი წინადადება დამამახსოვრდა. მან თქვა: „შატილს ჩვენ ვაშატილებთ, შატილი კი ჩვენ გვხდის შატილიონებადო“. ამ ნათქვამიდან დავრწმუნდი, რომ თავად ადგილზე ცხოვრებას მოჰყავს ქმედებაში ადგილის ფუნქციები, ანუ შატილიონები თავიანთი ცხოვრებითა და იქ ყოფნით ხდიან შატილს შატილად.

ორი კვირა გავიდა. ამ დროისათვის ჩვენ უკვე ყველას ვიცნობდით. თავისუფალ დროს, რომელიც არცთუ ისე ბევრი გვქონდა, მათთან ერთად ვერთობოდით კიდეც. ყველაზე სასიამოვნო გრძნობა ამ ორი კვირის განმავლობაში იყო ის, რომ დადიოდი და იცოდი ყველა ადგილის სახელი, ისტორია, ამბავი. ჩავდიოდი კოშკებში, მივუყვებოდი ქვითკირებს შორის გზას, რომელსაც ინგური

ეწოდება, ვნახულობდი ბულოურთ ქვითკირს, სადაც ორნამენტებიანი ქვაა, ქავს, ვიცოდი, სად იყო სხვადასხვა მამიშვილობის ქვითკირები, გალავანი, შატილისწყალი, მითხულა, არღუნი, ჭალა... ვიცოდი ისეთი მნიშვნელოვანი ადგილების შესახებ, როგორებიცაა საფეხვნო, საქვაბე, თუმცა ქალების შესვლა იქ არ შეიძლება, რაზეც, როგორც დამწყებ მკვლევარს, ძალიან მწყდება გული. რაც მთავარია, თავად კვლევის პროცესი იყო საინტერესო, რადგან ადგილებთან ადამიანთა დამოკიდებულების შესწავლა ისეთი რამაა, რაც, ალბათ, ვერასოდეს მოგცემს ზუსტ და ამომწურავ პასუხებს. ახალსა და საინტერესოს კვლევის პროცესში მუდამ უნდა ელოდო.

ვნახეთ მუცო, რომელიც ულამაზესი იყო. 20 კილომეტრზე მეტი ფეხით ვიარეთ. სამწუხაროდ, მუცო ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. ქვითკირების კომპლექსი ფაქტობრივად აღარ არსებობს, რამდენიმე კოშკიღაა დარჩენილი, ისიც სიძველისაგან გვერდზე გადახრილი და ჩამოქცეული. ჩვენი იქ ყოფნის დროს კოკისპირული წვიმა წამოვიდა და დარჩენილი ნანგრევების ნახვაც სრულად ვერ მოვახერხეთ. სამაგიეროდ, ულამაზესი ადგილები ვნახეთ. არასოდეს დამავიწყდება ეს ყველაფერი. დღეები გადიოდა და ვხვდებოდი, რომ ყოველ დღე ახალ-ახალ ცოდნას ვიძენდი. ვაკეთებდი ინტერვიუების ტრანსკრიპტებს. ბედნიერი ვიყავი იმით, რომ პირველი კურსის დამთავრების შემდეგ ამდენის გაკეთების შესაძლებლობა მომეცა. ვფიქრობ, უდიდესი გამოცდილება მივიღე.

ამასთან სახლის ცხოვრებაც ერთი-ორად საინტერესო იყო. საღამოობით ვკითხულობდით წიგნებს, განვიხილავდით ინტერვიუებს, ვუსმენდით ერთმანეთის მოსაზრებებს, ვსაუბრობდით, ვინ რა გააკეთა, ვინ ვის ესაუბრა, ვინ რა გაიგო ახალი, ვაწარმოებდით დღიურებს, რომელსაც ყოველი დღის ბოლოს ვავსებდით. ვნახეთ დოკუმენტური ფილმი ხევსურეთის შესახებ, რამაც ძალიან ჩამაფიქრა. მთელი ღამე ვფიქრობდი იმის შესახებ, რაც ვნახე: როგორ ცხოვრობდნენ ადრე შატილივნები და შევადარე შატილის დღევანდელ ყოფას. სხვაობა დიდი იყო, მაგრამ ამაზე მხოლოდ მაშინ დაფიქრდებით და განიცდით, როცა იქ იქნებით, როცა მიხვდებით, რა იყო შატილი და რა არის ის ახლა.

ყოველ კვირადღეს უამრავი ტურისტი და მნახველი აკითხავდა შატილს. ზოგჯერ ჭრელი კარვების ქვეშ მწვანე მინდორიც კი აღარ ჩანდა. ისინი აღფრთოვანებულები იყურებოდნენ აქეთ-იქით, მხიარული სახეებით ტოვებდნენ იქაურობას. თავიდან მეც მათ მსგავსად ვიქცეოდი, მაგრამ ბოლოს კოშკებში გასეირნების შემდეგ, ვფიქრობდი არა სილამაზეზე, არამედ მათ მძიმე მდგომარეობაზე და ტურისტებისაგან განსხვავებით, მხიარულმა კი არა,

ნაღვლიანმა დავტოვე იქაურობა. ყველაზე მეტად ჩვენს იქ ყოფნაში ჩამონგრეულმა ქვითკირმა ჩამაფიქრა და გული დამწყვიტა. ვფიქრობდი, რომ წლების შემდეგ, შესაძლოა, მთლიანი კომპლექსის არსებობა დამდგარიყო კითხვის ნიშნის ქვეშ. მაგრამ საბედნიეროდ, ჩვენი იქ ყოფნის დროს ქვითკირების აღდგენითი სამუშაოები დაიწყო. იმედია, რომ ეს სამუშაოები ოდნავ მაინც შეამსუბუქებს ქვითკირების მძიმე მდგომარეობას.

უზარმაზარი შთაბეჭდილებები, გამოცდილება, ცოდნა და ემოციები მივიღე. საინტერესო იყო ის ფაქტი, რომ ათენგენობის დღეებში იქ მოგვიწია ყოფნა, ეს დღე ხევსურებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია. გადავიღეთ დოკუმენტური ფილმი. ერთმა თვემ უცებ გაიარა.

ხევსურეთიდან რომ მოვდიოდი, მთელი გზა ჩაფიქრებული ვიყავი. ვფიქრობდი, ერთ რამეზე, ჩემი ოცნება მაშინვე იყო და ახლაც არის ის, რომ კიდევ ერთხელ წავიდე ხევსურეთში დიდი ხნით და მონაწილეობა მივიღო მსგავს ექსპედიციაში.

სალომე ხაჩიძე

გამარჯობა! მე ვარ სალომე ხაჩიძე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტი. როგორც დამწყები სოციოლოგისთვის, ეს ექსპედიცია ჩემთვის იყო პირველი დიდი გამოცდილება თვისებრივი კვლევების სამყაროში. საშუალება მომეცა, თავად გავმხდარიყავი მკვლევარი და ჩართული დაკვირვება განმეხორციელებინა. სასიამოვნო იყო იმის შეგრძნება, რომ პრაქტიკულად ვახორციელებდით იმას, რაც თეორიულად შევისწავლეთ. რა თქმა უნდა, ამაში ძალიან დაგვეხმარა ის შეხვედრები, რომლებსაც ექსპედიციამდე ვაწყობდით. ამ შეხვედრებზე ბატონი გიორგი გვიხსნიდა ექსპედიციის მიზნებს, გვითითებდა შესაბამის ლიტერატურას, რომელსაც შემდეგ ვკითხულობდით, გვესაუბრებოდა ადგილების სოციოლოგიური და ფილოსოფიური მნიშვნელობის შესახებ. რაც შეეხება ჩვენს ლექტორს სოციოლოგიური კვლევის მეთოდებში, ბატონ ირაკლი კახიძეს, იგი გვიხსნიდა სოციოლოგიის თვისებრივი მეთოდოლოგიების სპეციფიკას და გვესაუბრებოდა იმ მოსალოდნელი სირთულეების შესახებ, რომელსაც, შესაძლოა, ექსპედიციის განმავლობაში გადავწყდომოდით. მისი მითითები პირადად ჩემთვის ძალიან სასარგებლო იყო.

პირველ კვირას ჩვენი დავალება იყო შატილის ტერიტორიების დათვალიერება, ადგილობრივთა უკეთ გაცნობა და მათ შესახებ ბაზისური ინფორმაციის შეგროვება. შატილში ჩასვლის მეორე დღესვე ბატონმა გიორგიმ წაგვიყვანა ქაჩუს ციხესთან, რომელიც ჩემთვის ყველაზე მეტად დასამახსოვრებელი აღმოჩნდა. გადმოცემების თანახმად, ქაჩუს ციხე შატილზე უფრო ძველია. მას უკავშირდება შესანიშნავი ლეგენდა: ალყის დროს ქაჩუს ციხის თავდამცველები მატყლის გორგლებს უშვებდნენ არღუნში, შემდეგ ამოჰქონდათ

ციხეში და ასე იკმაყოფილებდნენ წყურვილს. სამწუხაროდ, ქაჩუს ციხე, შესაძლოა, იფნის ხემ შეიწიროს, რადგან ხე შუა ციხეშია ამოსული და თუ დროზე არ მოიჭრა, ბოლოს მოუღებს ისედაც დაზიანებულ ქაჩუს. იმედი მაქვს, რომ ქართველი რესტავრატორები გაადარჩენენ ამ ისტორიულ ღირსშესანიშნაობას.

შატილის ქვითკირებისა და უშუალო შემოგარენის დათვალიერების შემდეგ შევუდექით მოსახლეობის გაცნობას. ადგილობრივი მოსახლეობა ქვითკირებში უკვე აღარ ცხოვრობს, მხოლოდ ორი ქვითკირი გამოიყენება სასტუმროდ. მე გავიცანი ჩემი პირველი რესპონდენტი მიხეილ ჭინჭარაული (მეტსახელად „დოხტური“), რომელიც არა მხოლოდ შატილის, არამედ მთელი პირიქითა ხევსურეთის ექიმი იყო. გარდა ამისა, გავეცანი ერთ-ერთი ქვითკირის მფლობელს, რომელსაც იქ სასტუმრო ჰქონდა მოწყობილი. შატილში ჩასვლის პირველსავე დღეს გავიცანი შატილის სკოლის დირექტორი შოთა ჭინჭარაული. პირველი კვირის მიზანი იყო, კარგი ურთიერთობა დაგვემყარებინა მოსახლეობასთან, რაც მომავალი სამი კვირის განმავლობაში გამოგვადგებოდა. ამ პროცესში უფრო მეტი შევიტყვეთ შატილში მცხოვრები ჭინჭარაულების შესახებ. ჭინჭარაულების გვარი დიდი გვარია და ის მამიშვილობებად (ასე ვთქვათ, „კლანებად“) იყოფა. ერთი მამიშვილობის წევრები ერთმანეთის ახლო ნათესავები არიან.

მეორე კვირის უმთავრესი დავალება იყო ადგილობრივებთან ჩართული დაკვირვების დაწყება. ამ მეთოდის სპეციფიკა ისაა, რომ მკვლევარი მონაწილეობს იმ ჯგუფის ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომელსაც იკვლევს. დამკვირვებელი თავის თავზე იღებს გარკვეული როლის შესრულებას და ბუნებრივი სოციალური აქტივობის მონაწილე ხდება. მე და ჩემმა მეგობარმა ნინომ ჩართული დაკვირვება ვაწარმოეთ ერთ-ერთი სასტუმროს მფლობელთან, რომელმაც ძალიან კარგად მიგვიღო და დიდი როლი ითამაშა ჩვენი დავალების ხარისხიანად შესრულებაში. მეორე კვირის ბოლოს უკვე საკმაოდ კარგად ვგრძნობდით თავს მკვლევარების როლში.

საღამოობით ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელთან, ბატონ გიორგი თავაძესთან ერთად, ვკითხულობდით სხვადასხვა მოთხრობებს და ანდრეზებს. ასევე, ვუყურეთ დოკუმენტურ და მხატვრულ ფილმებს ხევსურეთის შესახებ. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თენგიზ აბულაძის „ვედრებამ“.

მესამე კვირის დავალების განხორციელებაში პირველი ორი კვირის გამოცდილება დაგვეხმარა. ჩემი პირველი ინტერვიუ შედგა შატილის ექიმთან, მიხეილ ჭინჭარაულთან. ინტერვიუ ერთობ საინტერესო აღმოჩნდა. მეორე ინტერვიუ თენგიზ ზვიადაურთან შედგა. ინტერვიუების გარჩევა ძალიან სასარგებლო

აღმოჩნდა, რადგან ამით ვიგებდით დაშვებული შეცდომების შესახებ. შესაბამისად, მეორე ინტერვიუზე უფრო კონცენტრირებული და მობილიზებული ვიყავი.

მეორე კვირის ბოლოს მოვაწყვეთ ლაშქრობა სოფელ მუცოში. რომელიც შატილიდან 12 კმ-ის სავალზეა. ჩვენ ეს მანძილი ფეხით გავიარეთ. მაგრამ ეს გარჯა ღირდა იმად, რომ ეს სილამაზე ჩვენს ცნობიერებაში დარჩენილიყო. მუცოში მიმავლებმა ვნახეთ შატილიდან სამ-ოთხ კილომეტრში მდებარე ანატორის აკლდამები, სადაც იმ ადამიანთა ძვლებია, რომლებიც შავმა ჭირმა შეიწირა.

განსაკუთრებით საინტერესო იყო ის გარემოება, რომ ჩვენი იქ ყოფნის პერიოდში შატილში ათენგენობის დღესასწაული იზეიმეს. სამწუხარო ისაა, რომ ქალებს არ აქვთ საქვაბეში და სალოცავში შესვლის უფლება. შესაბამისად, ამ დღესასწალის რიტუალებს უფრო დაწვრილებით ბატონი გიორგი, შალვა და ლევანი დააკვირდნენ.

მეოთხე კვირას ვნახეთ ადგილი, სადაც შატილისწყალი მდინარე მითხულას უერთდება. უკან დაბრუნებისას კიდევ ჩემი ყურადღება კიდევ ერთხელ მიიქცია ძველი, მიტოვებული წისქვილების ნანგრევებმა, რომლებიც შატილის ერთ-ერთ უბანში, ჭალაში მდებარეობს. ძალაუნებურად გამახსენდა იმ წიგნის სათაური, რომელიც ექსპედიციის მოწყობამდე წაგვაკითხა ბატონმა გიორგიმ და სადაც ხევსურეთის პრობლემებია აღწერილი. ამ წიგნს „მყივანა წისქვილები“ ეწოდება.

ჩემი აზრით, ექსპედიცია ნაყოფიერი და წარმატებული აღმოჩნდა. ვთვლი, რომ მდიდარი გამოცდილება მივიღე: გავიგე, რამდენად საინტერესოა სოციოლოგიური მუშაობა ველზე და, გარდა ამისა, უფრო უკეთ გავიცანი საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე. სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას ანალოგიურ ექსპედიციაში, რათა კიდევ უფრო მეტი გამოცდილება მივიღო და განვახორციელო ჩართული დაკვირვება.

შორენა ხუბუტია

გამარჯობათ, მე ვარ შორენა ხუბუტია, ხევსურეთის ექსპედიციის წევრი. მე, როგორც ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტს, უნდა გამომეკვლია შატილში და ზოგადად, პირიქითა ხევსურეთში არსებული პრობლემები.

შატილში 1 ივლისს გავემგზავრეთ. უკვე გზაშივე მკვეთრად გამოჩნდა მნიშვნელოვანი პრობლემა – უგზოობა, რომელიც, ჩემი აზრით, სერიოზულად აფერხებს შატილის განვითარებას. გზა საკმაოდ დამღლელია. ასფალტის საფარი ბარისახოს შემდეგ, ფაქტიურად, არ არსებობს. უამინდობის დროს მოძრაობა საკმაოდ საშიშია. გარდა ამისა, გზა ვიწროა. ორი მანქანა ძლივს აუქცევს ერთმანეთს გზას. სამწუხაროა ის გარემოება, რომ ამ პრობლემას დღემდე არ ექცევა სათანადო ყურადღება. არადა, ხევსურეთი საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა.

როცა დათვისჯვრის უღელტეხილს გამოვცდით და ნელ-ნელა ვუახლოვდებოდით შატილს, ინტერესი უფრო და უფრო მიღვივდებოდა. შატილში რომ ჩავედით, წვიმდა და ღრუბლიანი დღე იყო. თავიდან ყველაფერი მოღუშულად და არასტუმართმოყვარედ მეჩვენა.

სოციოლოგი სტუდენტებისაგან განსხვავებით, მე მუშაობის ბევრად „თავისუფალი“ რეჟიმი მქონდა. პირველ დღეებში შატილი დავათვალიერე და მოსახლეობას გავეცანი. შემდეგ კი ნელ-ნელა დავიწყე იმ ადამიანებთან დაახლოება, რომლებიც, ჩემი აზრით, მნიშვნელოვან ინფორმაციას მომაწვდიდნენ. ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. როდესაც ადამიანებს ვეუბნებოდი, რომ ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტი ვიყავი, ისინი თითქოს ფრთხებოდნენ. მხოლოდ მას შემდეგ იწყებდნენ გულღიად საუბარს, როცა დაწვრილებით ავუხსნიდი ხოლმე ჩვენი ექსპედიციის მიზნებს.

რაც უფრო მეტად ვეცნობოდი შატილს, მით უფრო აშკარად ვხედავდი იქ არსებულ პრობლემებს. ამ პრობლემების შესახებ ვესაუბრებოდი მოსახლეობას, მაინტერესებდა მათი აზრი ამ პრობლემების შესახებ და ისიც, თუ როგორ წარმოედგინათ მათ ამ პრობლემების გადაჭრის გზები.

როგორც უკვე აღვნიშნე, ყველაზე მწვავე პრობლემა უგზოობაა. მოსახლეობასთან გასაუბრების შემდეგ მივხვდი, რომ ისინი სკეპტიკურად უყურებდნენ გზების შეკეთების პერსპექტივას. მათი აზრით, უმთავრესი მიზეზი, რაც ხელს უშლიდა (და აქამდე უშლის) პირიქითა ხევსურეთში გზების შეკეთებას, გეოგრაფიული ფაქტორი და სათანადო პოლიტიკური ნების არარსებობაა. დათვისჯვრის უღელტეხილი საკმაოდ მაღალია, დანარჩენ ადგილებშიც გზის გაყვანა დიდ სირთულეებთან და ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამას ემატება ისიც, რომ შატილში ზამთრობით სულ 5-7 ოჯახი თუ რჩება. შესაბამისად, ადგილობრივების აზრით, ხელისუფლებას არ აწყობდა თანხების დახარჯვა ამ რეგიონში, რადგან პოლიტიკურ დივიდენდებს აქ ვერ მოიპოვებდა.

ზოგიერთ ადგილობრივს იდეალურ ვარიანტად გვირაბის გაყვანა ესახება, რომელიც სამი საათით მაინც შეამცირებდა გზას. მაგრამ ეს ჩანაფიქრი, ალბათ, არარეალურია. რეალურად კი აუცილებლია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა: 1. ყურადღების მიქცევა არსებულ პრობლემაზე 2. გზის გაფართოება 3. გზის რეგულარული გაწმენდა.

შვიდი თვის განმავლობაში გზა არ ფუნქციონირებს ზვავსაშიშროებისა და თოვლიანობის გამო. ამ პერიოდში შატილი სრულიად მოწყვეტილია გარესამყაროს. დამაკავშირებელი ძაფის როლს ადრე რადიოგადამცემი ასრულებდა. ამიტომ რთულია იმ ადამიანების გამტყუნება, რომლებიც მხოლოდ ზაფხულობით ჩამოდიან შატილში. 2011 წლამდე შატილში სატელეფონო კავშირიც არ იყო. 2011 წელს აქ ამოქმედდა „მაგთის“ გადამცემი ანძა, ხოლო 2012 წელს შატილი „ჯეოსელის“ დაფარვის ზონაში შევიდა. მიუხედავად ამისა, სატელეფონო კომუნიკაციების საკითხი პირიქითა ხევსურეთში მაინც პრობლემურია: მიღმახევი (მუცო - ანდაქი - არჭილო) არც ერთი მობილური ოპერატორის დაფარვის ზონაში არ შედის. მობილურ ტელეფონს ვერ გამოიყენებთ სოფელ კისტანშიც, რომელიც პირიქითა ხევსურეთის პირველი სოფელია (დათვისჯვრის უღელტეხილიდან პირდაპირ კისტანში გადადიხართ. ძველი სოფელი ლებაისკარი უკვე სრულიად დაცლილია).

ზამთარში გარესამყაროსაგან თითქმის სრულიად მოწყვეტილ სოფელში, ადამიანი, შესაძლოა, ცუდად გახდეს. გზის არარსებობის პირობებში შედეგი, შესაძლოა, ფატალური იყოს. „ვერტმფრენი ძალიან იშვიათად დაფრინავს.

ზამთარში ეს დიდი პრობლემაა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ადამიანი ავადაა“ – მითხრა ერთ-ერთმა რესპოდენტმა. გარდა ამისა, გავიგე ასეთი ისტორია: ერთ-ერთ ზამთარს ერთი ადგილობრივი ბავშვი ცუდად გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ვერტმფრენი რადიოს მეშვეობით გამოიძახეს, ფრენა თბილისიდან არ შედგა. მიზეზად უამინდობა დაასახელეს. ბოლოს, როგორც იქნა, ვერტმფრენიც გამოჩნდა. მაგრამ ეს ვერტმფრენი იყო არა ის, რომელიც გამოიძახეს, არამედ სხვა, რომელმაც ტურისტები ჩამოიყვანა. ავადმყოფი ბავშვი სწორედ ამ ვერტმფრენით გადაიყვანეს თბილისში.

საბჭოთა პერიოდში ფრენები რეგულარულ ხასიათს ატარებდა. „გზასთან არის დაკავშირებული ხალხის დაცლა. ხალხის თხოვნამ, მოთხოვნამ არაფერმა არ გაჭრა. დაიცალა სამი-ოთხი სოფელი. ეს მძიმე სანახავია პირადად ჩემთვის. მეტ-ნაკლებად რაღაც კეთდებოდა, მაგრამ მთავარი მოთხოვნა – გზის შეკეთება – ყურადღების მიღმა დარჩა“ – მითხრა ერთ-ერთმა რესპონდენტმა.

გზის პრობლემასთან მჭიდრო კავშირშია მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრი შემცირება. „ჩემთვის ყველაზე მტკივნეული პრობლემა სწორედ ესაა. ჯერ კიდევ ჩემს ბავშვობაში იყო აქ ხალხი. ახლა კი ხალხი გარბის აქედან“, გულისტკივილით მითხრა ერთ-ერთმა რესპონდენტმა. შეკითხვაზე, რა უნდა გაკეთდეს, რომ წასული ხალხი დაბრუნდეს, მან მიპასუხა: „სოფლებიდან იმიტომ წავიდა ხალხი, რომ დღევანდელი პირობები არ აკმაყოფილებდა. ადამიანებს საარსებოდ სჭირდებათ ელემენტარული პირობები: შუქი, წყალი, კანალიზაცია, კომუნიკაცია. ხალხმა უკეთესი პირობები არჩია პირობების არარსებობას. დიდი პრობლემა არის ის, რომ შემოდგომის შემდეგ გზა იკეტება და გაზაფხულის ბოლომდე არ იხსნება. ის, რაც აქ კეთდება, უფრო მეტად ტურიზმის განვითარებისკენ არის მიმართული, ვიდრე მოსახლეობის კეთილდღეობის ასამაღლებლად.“

აი, რას ამბობს კიდევ ერთი რესპონდენტი: „მიღმახევში ელექტროენერგიაც კი არ აქვთ. ქაჩუს ციხე უფრო ძველია, ვიდრე შატილი და დაქცევის პირასაა მისული. მანდ პირველი შატილიონები ცხოვრობდნენ და კაციშვილს არსად არ უხსენებია. გარდა ამისა, დიდი პრობლემაა კისტანშიც: ინგრევა ქვითკირები, არ იჭერს ტელეფონი, არ არის შუქი... გზა და ტრანსპორტი უნდა ფუნქციონირებდეს. აი, გვირაბი რომ გააკეთონ, ან გზა შეაკეთონ, დაბრუნდება ხალხი ისევ.“

მოსახლეობა ერთხმად ამბობს, რომ თუ პირობები იქნება, ხალხი დაბრუნდება. ეს ადამიანები არარეალურს და განსაკუთრებულს არ ითხოვენ: ეს

იქნება ჩვენი უდიდესი ტრაგედია, თუ პირიქითა ხევსურეთის სოფლებს მოსახლეობა მიატოვებს.

კიდევ მოვიყვან ნაწყვეტს რესპონდენტის ნათქვამიდან: „მთელი სოფელი შეიძლება უცებ არ დაბრუნდეს, მაგრამ 2-3 ადამიანი მაინც რომ დაბრუნდეს, ეს იქნება დიდი სტიმული დანარჩენებისთვის. საქართველო მთის და სოფლის გარეშე არასდროს არსებობდა. მთა იყო მნიშნველოვანი, მით უმეტეს – სასაზღვრო რეგიონებში. სოფელი ყველამ რომ მიატოვოს, მოვა სხვა და მიისაკუთრებს ამ ტერიტორიას.“

მართლაც, მტერი ერთხელაც არ შემოსულა ამ მხრიდან საქართველოში, ახლა კი კისტანის, შატილის, მუცოს და არდოტის ქვითკირები უმწეოდ დგანან და ნელ-ნელა ინგრევიან. ერთმა ადგილობრივმა მითხრა: „ყოველ წელს ვუყურებ, როგორ ინგრევა ნელ-ნელა ქვითკირები და მათ შესანარჩუნებლად არაფერი კეთდება.“ როგორც მოსახლეობასთან საუბრის დროს გავარკვიე, მსოფლიო ბანკმა 300 000 აშშ დოლარი გამოყო კოშკების რესტავრაციისთვის. რესტავრაცია 2001 წელს დამთავრდა. თუმცა, მოსახლეობის ნაწილი უკმაყოფილოა რესტავრაციით. ისინი ამბობენ, რომ ქვითკირების გადახურვის შემდეგ კედლებში წყალი დგება და კედლები უფრო იბზარება. მე გულდასმით დავათვალიერე შატილის ქვითკირები და უნდა აღვნიშნო, რომ მდგომარეობა იქ მართლაც მძიმეა და ეს არასპეციალისტის თვალისთვისაც ნათელია. რაც შეეხება ქაჩუს, მუცოს, არდოტსა და კისტანს, იქ, საერთოდ კატასტროფული მდგომარეობაა და თუ სასწრაფო ზომები არ გატარდა, ჩვენ დავკარგავთ ჩვენი კულტურის ამ შესანიშნავ ძეგლებს. მართალი გითხრათ, ძალიან ვბრაზობდი, როდესაც ასე დაწვრილებით ვიგებდი, თუ როგორ უგულისყუროდ და უყურადღებოდაა მიტოვებული ეს ძეგლები მთელი ამ წლების განმავლობაში. ამ საქმეს მხოლოდ გადამჭრელი და ქმედითი ღონისძიებები უშველის და არა თანამდებობის პირების ბრტყელ-ბრტყელი საუბარი.

შატილში ჩვენი ყოფნის განმავლობაში ერთ-ერთი კოშკი სერიოზულად დაზიანდა, მთავარი ფასადის შიდა კედელი ჩამოინგრა, რომელმაც სხვა კედლებიც დააზიანა და საფრთხე შეექმნა კოშკის აივანსაც. ამ ტერიტორიაზე გასვლაც კი საშიში იყო, რადგან ნებისმიერ დროს შეიძლებოდა კოშკი მთლიანად ჩამონგრეულიყო.

17 ივლისს შატილში ჩვენი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჩამოფრინდა. მან მოინახულა ქვითკირები და შემდეგ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს უფროსს ნიკოლოზ ვაჩეიშვილს დაავალა მათი რეაბილიტაცია. ეს

„ბედნიერება“ მხოლოდ სამ ქვითკირს ერგო, იმედია, დანარჩენებს შემდეგ მაინც მიხედავენ, ალბათ მაშინ, როცა ისინიც დანგრევის პირას მივლენ.

ზოგიერთი რესპონდენტის აზრით, რესტავრაციის დაწყება წინასაარჩევნო პერიოდს უკავშირდებოდა. არადა, უკიდურესად მნიშვნელოვანია შატილის ქვითკირების არა ნაწილობრივი, არამედ მთლიანი და გონივრული რესტავრაცია, რადგან ისინი ერთ მთლიან კომპლექსს ქმნის.

დღესდღეობით შატილში მხოლოდ ორი ქვითკირი ფუნქციონირებს. ისინი სასტუმროებად არის გადაკეთებული. რამდენიმეში ზაფხულობით ცხოვრობენ. დანარჩენი ქვითკირები კი ნაგვით არის სავსე. ყველა ქვითკირში ვიყავი შესული და ყველა გულმოდგინედ დავათვალიერე. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. თითქმის ყველა ქვითკირი ნაგვით არის სავსე და მათში შარდის მძაფრი სუნი დგას. ეს ყველაფერი აჩვენებს, რომ არა მხოლოდ მთავრობას, არამედ რიგით მოქალაქეებს, ტურისტებს არ აინტერესებთ ქვითკირების ბედი. ისინი დარბიან, დახტიან აქეთ-იქით, უდარდელი სახით იღებენ ფოტოებს და იმას ნაკლებად ხვდებიან, რომ თითოეული ასეთი ვიზიტი, შესაძლოა, დიდი ზიანს აყენებდეს ქვითკირებს. ჩემი აზრით, შატილის კომპლექსში (ისევე როგორც მუცოში, არდოტსა და კისტანში) შესვლა ფასიანი უნდა იყოს და ეს ფული ქვითკირების დასუფთავებას და მოვლას უნდა მოხმარდეს.

ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს „მეპატრონეებს არ აინტერებთ ქვითკირების მოვლა, მოსახლეობის და მთავრობის მხრიდან მოუვლელობას ეწირება შატილი”.

ქართველები ტურისტების უმრავლესობა შატილში თავისი კარვებით ჩამოდის და ისინი ტურიზმს ხელს არაფრით არ უწყობენ. მეორე დღეს, როგორც წესი, უამრავი ნაგავი ყრია იმ ადგილას, სადაც მათ ღამე გაათიეს. საოცარია ის, რომ ზოგიერთს შატილიდან თბილისამდე ჩამოაქვს ნაგავი, რომ იქაურობა არ დააბინძუროს, ზოგიერთი კი ერთჯერად ჩანგლებს და კოვზებს ცეცხლშიც არ აგდებს და უბრალოდ მიწაზე ყრის. საკმაოდ ხშირად ზუსტად ეს ხალხი იმავე სუფრაზე, თავისი ქვეყნის სადღეგრძელოს სვამს და ხოტბას ასხამს ქართული ბუნების სილამაზეს.

ჩვენმა საექსპედიციო ჯგუფმა გაასუფთავა შატილში მდებარე თენგიზის წყარო, რომელიც შესანიშნავი ადგილია. შაბათ-კვირას ეს ადგილი გვიან ღამემდე საქეიფო ადგილად იქცევა ხოლმე. როდესაც ყველაფერი დავასუფთავეთ, გავაკეთეთ აბრა წარწერით „დაიცავით სისუფთავე“. სამწუხაროდ, წყარო ხშირად გვხვდებოდა დაბინძურებული.

„მართლა ძალიან ცუდი სიტუაციაა ნაგვის მხრივ არა მხოლოდ ქვითკირებში, არამედ შატილში და საერთოდ პირიქითა ხევსურეთში. სისუფთავეზე უცხოელები უფრო ზრუნავენ. მე თუ მკითხავთ, ამ საკითხზე დუშეთის რაიონი უნდა ზრუნავდეს“, მითხრა ერთ-ერთმა რესპონდენტმა

შატილის მაცხოვრებლების ნაწილი ნაგავს პირდაპირ მდინარეში ყრის, ნაწილს კი წვავენ. ნაგვის ნაწილი სპეციალურად ამოთხრილ ორმოში იყრება. ყველაზე მეტად შემაწუხა იმ გარემოებამ, რომ ნაგავი პირდაპირ იყრება იმ შენობის ახლოს, რომელიც, საბჭოთა დაგეგმარების მიხედვით, შატილის კლუბი უნდა ყოფილიყო. ნაგავსაყრელის ასეთი სიახლოვე საცხოვრებელ სახლებთან ძალიან საშიშია, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში.

გადავიდეთ განათლების საკითხის განხილვაზე. შატილში დღემდე ფუნქციონირებს სკოლა-ინტერნატი. ვინც ეს სკოლა დაამთავრა, ყველა უმაღლესში მოხვდა მაგრამ დაბრუნებით შატილში არავინ დაბრუნებულა. ერთ-ერთმა ნამოწაფარმა მითხრა „მე რომ ვსწავლობდი, ამ სკოლაში დაახლოებით 8-9 ბავშვი იყო, კარგი სკოლაა. მაგრამ სკოლის დამთავრების მერე შატილში არაფრის პერსპექტივა არ არის, ვერაფრით ვერ დასაქმდები. ერთადერთი დასაქმების საშუალება სასაზღვრო სამსახურია.“

სხვა რესპონდენტის აზრით, „სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ყველაფერს. სკოლა ფუნქციონირებს, მაგრამ პრობლემაა ის, რომ მასწავლებლები საგნების მიხედვით არ ჰყავთ. ამის გამო მშობლებს შვილები ბარში მიჰყავთ. როგორ შეიძლება დაბრუნდეს ხალხი?! პირველ რიგში, უნდა გაკეთდეს გზა და მასწავლებლები უნდა იყვნენ ყველა საგანში.“

პირიქითა ხევსურეთში არსებულ პრობლემებზე საუბარი დიდხანს შეიძლება. ზემოთ შევეცადე, ამ პრობლემებიდან რამდენიმე გამომეყო და მათ შესახებ მესაუბრა. შეჯამების სახით ვიტყვი, რომ, როგორც ჟურნალისტს, ექსპედიციამ დიდი გამოცდილება შემძინა. მოხარული ვარ, რომ უფრო მეტი გავიგე საქართველოს ამ შესანიშნავი კუთხისა და მისი მაცხოვრებლების შესახებ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომლებმაც ამ ექსპედიციის ორგანიზება მოახდინეს. ასევე, მადლობას ვუხდი ჩემი ჯგუფის წევრებს, რადგან მათთან ერთად შატილში გატარებული დღეები ჩემთვის დაუვიწყარი იქნება!

ლევან ხუცინაშვილი

მოგესალმებით, მე ვარ ლევან ხუცინაშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტი. როგორც მოგეხსენებათ, 2012 წლის ივლისში, უნივერსიტეტის დაფინანსებითა და ჩვენი ლექტორის, გიორგი თავაძის ხელმძღვანელობით, მოეწყო ექსპედიცია პირიქითა ხევსურეთში. კვლევის მიზანი იყო, დაედგინა, თუ რა გავლენას ახდენს ადგილი ადამიანის იდენტობაზე. რა თქმა უნდა, კვლევის პროცესში სხვა საინტერესო საკითხებიც გამოიკვეთა. იყო სირთულეებიც, მაგრამ, საბოლოო ჯამში, შედეგებით ძალიან კმაყოფილი ვარ.

პირველ რიგში, ჩემი მიზანი იყო ადგილობრივების გაცნობა და ახლო ურთიერთობის დამყარება მათთან. რაც შეეხება სამოქმედო გეგმას, საჭირო იყო, ამომერჩია ერთ-ერთი ადგილობრივი, რათა მასთან განმეხორციელებინა ჩართული დაკვირვება. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, უნდა მიმეღო მონაწილეობა რესპონდენტის ყოველდღიურ ცხოვრებაში, მასთან უნდა გამეტარებინა დღის უმეტესი ნაწილი. პირველი ეტაპი წარმატებით გავიარეთ ექსპედიციის წევრებმა, შატილიონები გავიცანით და ძირითად შემთხვევებში გამოგვდიოდა მათთან ურთიერთობების სწორად წარმართვა. ჩაიწერა პირველი ინტერვიუები. ინტერვიუებს ერთად ვარჩევდით საღამოობით. ეს რა თქმა უნდა დიდ სტიმულს გვაძლევდა რადგან ვიცით რომ ყველანი შეცდომებზე ვსწავლობთ. :-) ჩემი რესპონდენტი ძალიან საინტერესო ადამიანი აღმოჩნდა. ბატონი შოთა ჭინჭარაული

პროფესიით ინჟინერია. მან ჩემი ყურადღება ადვილად მიიპყრო, რადგან ახალ სახლს აშენებდა, კარგი პროექტი ჩანდა... როგორც შემდეგ გავარკვიე, ეს სახლი შატილიონისთვის შენდებოდა, რომელსაც თავის მხარეში დაბრუნება სურდა. ეს ინფორმაცია ჩემთვის, როგორც სოციოლოგისთვის, მნიშვნელოვანი იყო. ბატონ შოთასთან ჩემი ურთიერთობა კარგად წარიმართა. მე მას ვთხოვე, შეიძლებოდა თუ არა, რომ მშენებლობაში დავხმარებოდი, რაზეც იგი სიამოვნებით დამთანხმდა. მშენებლობის პროცესში ვისმენდი მშენებლების საუბარს, განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებდი იმ დეტალებზე, რომლებიც ადგილებს ეხებოდა. საერთო ჯამში, ჩართულმა დაკვირვებამ საკმაოდ მდიდარი გამოცდილება მომცა.

საინტერესო იყო ბატონ შოთასთან ურთიერთობა. მისგან სულ რაღაც ხუთ დღეში ბევრი რამ ვისწავლე. მაგალითად ის, რომ შატილის კლდის ნაშალი ქვა სპეციფიკურობით ხასიათდება, გამძლეა და წვიმის დროს წყალი სახლის შიგნით ვერ მოხვდება. ამის ნათელი მაგალითი ის ქვითკირებია, რომლებმაც ამდენ ხანს გაძლეს და ჯერ კიდევ ამაყად დგანან. ამ ქვით, რომელსაც სიპის ქვას უწოდებენ, კედლები ამოყავთ. კედლების ამოყვანა ძირითადი სირთულე იყო ამ სახლის მშენებლობისას. ბატონი შოთასგან მიღებული ცოდნა შატილშივე გამომადგა. როდესაც თენგიზის წყაროს გასუფთავება გადავწყვიტეთ, საჩემო საქმეც ვიპოვე და ქვების მწკრივში დაწყობას შეუდექი. წყარო გასუფთავდა და ქვებმაც სილამაზე შესძინა. არ ვიცი, ამ გამოცდილების გამოყენებას კიდევ თუ შევძლებ სადმე, მაგრამ ბატონი შოთას მადლობელი ვარ, რადგან მასთან ურთიერთობა ბუნებრივად წარიმართა და გამოცდილებაც შემძინა. სიღრმისეული ინტერვიუ ბატონ შოთასთან ჩავწერე. ჩემი აზრით, ინტერვიუმ კარგად ჩაიარა. რა თქმა უნდა, იყო ხარვეზებიც, რომლებიც ინტერვიუს გარჩევის დროს აღმოვაჩინეთ, რასაც შემდგომში აუცილებლად გავითვალისწინებ. ინტერვიუს შემდგომ საჭირო იყო მისი ტრანსკრიპტის გაკეთება, რაც შრომატევადი საქმეა. თუმცა, მოვახერხე და შევძელი ტრანსკრიპტის საჭირო ვადაში გაკეთება. სამწუხაროდ, მეორე ინტერვიუს ჩაწერა ვერ შევძელი. ჩემი რესპონდენტი ბატონი ვაჟა უნდა ყოფილიყო. თუმცა, გარკვეული გარემოებების გამო, ინტერვიუ, ასე ვთქვათ, „გადამედო და გადამედო“. როგორც შემდეგ შევიტყვე, ბატონ ვაჟასთან ინტერვიუ ბატონმა გიორგიმ ჩაწერა ექსპედიციის მეორე ეტაპზე.

ექსპედიციის განმავლობაში გავეცანით შატილის შემოგარენს. ყველაზე საინტერესო იყო მუცოს ნახვა. დაახლოებით 20 კილომეტრი ფეხით ვიარეთ, მაგრამ ისეთი საინტერესო ხედები, ადგილები და ნასოფლარები ვნახეთ, რომ დაღლილობამ საერთოდ არ შეგვაწუხა. სამწუხაროდ, თავად მუცოს ქვითკირებში

შესვლა ვერ შევძელით უამინდობის გამო, მიუხედავად ამისა, ძალიან კმაყოფილები დავრჩით.

ძალიან საინტერესო იყო, ასევე, მოულოდნელობა, რასაც მე, ბატონი გიორგი და შალვა წავაწყდით, როდესაც მდინარე მითხულის ხეობას ავუყევით. გასვლამდე ერთ-ერთმა შატილელმა გვითხრა, რომ ჰესის ზემოთ, მითხულის ხეობაში, ძალიან კარგი ბუნება იყო. შატილისწყლისა და მითხულისწყლის შესართავის შემდეგ გოგოებმა გზის გაგრძელება ვერ შეძლეს, რადგან ძალიან დაიღალნენ, თან მზეც მაგრად აჭერდა. მე, ბატონმა გიორგიმ და შალვამ გზა განვაგრძეთ. ულამაზესი ჩანჩქერი და ის ცივი ჰაერი, რომელიც ჩანჩქერის თავში ასვლისას ვიგრძენით, ისეთ გრძნობას გიტოვებდა რომ ასეთი ადგილის ნახვა ნამდვილად ღირდა. დაღლა შეგვეტყო და ნაბიჯს მოვუკელით. უეცრად დავინახე გველი, რომელიც ბატონი გიორგის ფეხებთან გასრიალდა. მე მას უკან მივყვებოდი, მაგრამ მოულოდნელი შეძახილის გამო დავიბენი. მხოლოდ გველის ჭრელ კუდს მოვკარი თვალი, რომელიც ქვის ქვეშ შესრიალდა. ჩანჩქერის თავში დავისვენეთ. შალვა და ბატონი გიორგი ცოტა ზემოთაც ავიდნენ, მე კი ერთ დიდ ქვაზე წამოვწექი და შევისვენე. უკან ჩამოსვლა უფრო მალე და უსაფრთხოდ მოვახერხეთ.

ყველაზე დასამახსოვრებელი იყო ათენგენობის დღესასწაული, რომელიც დღესაც ძალიან მნიშვნელოვანია ხევსურეთში. ტრადიციები შენარჩუნებულია, რასაც ჩვენი თვალით ვუყურეთ: იკვლება საკლავი, ინთება სანთელი, დუღდება ლუდი... თუმცა სამწუხაროდ, შატილში ამჟამად ხუცესი არ ჰყავთ. ამიტომ რიტუალს ასრულებენ დასტურები, ანუ ის ადამიანები, რომლებიც ამა თუ იმ წელს საკლავს კლავენ და ლუდს ადუღებენ. 2012 წელს დასტურები იყვნენ მანგიათა მამიშვილობიდან. ყოველ წელს ათენგენობას შატილში სხვადასხვა მამიშვილობა ატარებს და დასტურების მიმდევრობა წილისყრითაა განსაზღვრული. ამ დღეს არა მარტო ნამდვილი ხევსურული ლუდი დავაჭაშნიკეთ, არამედ, გავიგეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს დღე სოციოლოგიური კუთხით. დავაკვირდით რიტუალებს, ადგილობრივთა ინტერაქციებს, უფროს-უმცროსობის წესებს და ა. შ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი შატილში, ჩემი აზრით, საფეხვნოა, რომელიც ადრე შატილიონთა თავშეყრის კერა იყო და იქ სოფლის საჭირბოროტო საკითხები წყდებოდა. ის ფაქტი, რომ საფეხვნო დღეს არ ფუნქციონირებს, სოციოლოგიურად ძალზე საინტერესოა.

საღამოობით კოცონის გარშემო ვიკრიბებოდით, ვისმენდით ხევსურულ სიმღერებსა და ლექსებს. უკეთ ვეცნობოდით ადგილობრივებს, ვიგებდით უფრო მეტს შატილის შესახებ.

ექსპედიციის შედეგად, მე, როგორც მომავალმა სოციოლოგმა, მართლაც დიდი გამოცდილება მივიღე. გავიგე, როგორი რთულია საველე პირობებში ყოფნა, რთულია იცხოვრო სხვა ხალხთან, დაამყარო თბილი ურთიერთობა მათთან, მოიპოვო ის ინფორმაცია, რომლის მიღებაც გსურს. მიუხედავად ამისა, მოხარული ვარ, რომ ამ ექსპედიციის მეშვეობით თვისებრივი კვლევის საფუძვლებს გავეცანი და უაღრესად სასარგებლო გამოცდილება შევიძინე.

ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის მიერ გამოცემული სამეცნიერო ნაშრომების ნუსხა:

I. სამეცნიერო სერია „ფილოსოფია, სოციოლოგია, მედიის თეორია“:

ტ. 1: **ნიცშე საქართველოში. ეძღვნება თამაზ ბუაჩიძის ნათელ ხსოვნას,** რედაქტორ-შემდგენი: თენგიზ ირემაძე, გამომცემლობა „არხე“, თბილისი, 2007, 246 გვ.

ტ. 2: **ფილოსოფია – დიალექტიკა – ლოგიკა. სავლე წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული**, რედაქტორ-შემდგენელნი: ლალი ზაქარაძე და თენგიზ ირემაძე, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2008, 200 გვ.

ტ. 3: **სიცოცხლის ფილოსოფია. პრობლემები და პერსპექტივები**, რედაქტორ-შემდგენელნი: ლალი ზაქარაძე და მიხეილ გოგატიშვილი, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2009, 88 გვ.

ტ. 4: **ლალი ანთიძე: ნიკოლოზ ლოსკის ინტუიტივიზმი**, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 244 გვ.

ტ. 5: ***Philosophy in Global Change. Jubilee volume dedicated to the 65th anniversary of Burkhard Mojsisch***. Edited by Tengiz Iremadze in collaboration with Helmut Schneider and Klaus J. Schmidt, Tbilisi: Publishing House “Nekeri”, 2011, 436 pp.

ტ. 6: **აღმოსავლეთი და დასავლეთი. ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევები**. რედაქტორ-შემდგენლები: თენგიზ ირემაძე და გურამ თევზაძე, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2012, 226 გვ.

ტ. 7: **ბერნჰარდ ვალდენფელსი: გზები ფენომენოლოგიისა, პასუხს რომ იძლევა**, ფრანგულიდან ქართულად თარგმნა დოდო ლაბუჩიძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2013, 120 გვ.

II. სამეცნიერო სერია „ფილოსოფია და სოციალური მეცნიერებები დღეს“:

თენგიზ ირემაძე: ვალტერ ბენიამინი. ცხოვრება, მოღვაწეობა, აქტუალობა, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2008, 108 გვ.

Tengiz Iremadze: *Der Aletheiologische Realismus. Schalwa Nuzubidse und seine neuen Denkansätze,* Tbilisi: Nekeri Verlag, 2008, 117 S.

ბურკჰარდ მოიზიში: ჰუმანიზმის ეპისტემოლოგია, ინგლისურიდან ქართულად თარგმნა გიორგი ბარამიძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2009, 90 გვ.

ჰელმუტ შნაიდერი: ფილოსოფიური გეოგრაფია, გერმანულიდან ქართულად თარგმნა გიორგი თავაძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 120 გვ.

უდო რაინჰოლდ იეკი: განაზრებანი ქართული ფილოსოფიის შესახებ, გერმანულ და ქართულ ენებზე, გერმანულიდან ქართულად თარგმნა ლალი ზაქარაძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 88 გვ.

ჰელმუტ შნაიდერი, ლალი ზაქარაძე, გიორგი თავაძე, დოდო ლაბუჩიძე, თენგიზ ირემაძე: რა არის თავისუფლება? დიდი მოაზროვნეები თავისუფლების არსის შესახებ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 144 გვ.

გრიგოლ რობაქიძე და თანამედროვე აზროვნება, რედაქტორ-შემდგენლები: მამუკა თავხელიძე, თენგიზ ირემაძე, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2011, 144 გვ.

ევროპული პასუხისმგებლობა. მერაბ მამარდაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (14 დეკემბერი, 2010 წელი, თბილისი), მთავარი რედაქტორი: თენგიზ ირემაძე, რედაქტორები: ლალი ზაქარაძე, დოდო ლაბუჩიძე, გიორგი ბარამიძე, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2011, 224 გვ.

უდო რაინჰოლდ იეკი: განაზრებანი ქართული ფილოსოფიის შესახებ, გერმანულ და ქართულ ენებზე, გერმანულიდან ქართულად თარგმნა ლალი ზაქარაძემ, *მეორე გამოცემა*, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2012, 92 გვ.

ევროპული პასუხისმგებლობა. მერაბ მამარდაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (14 დეკემბერი, 2010 წელი, თბილისი), მთავარი რედაქტორი: თენგიზ ირემაძე, რედაქტორები: ლალი ზაქარაძე, დოდო ლაბუჩიძე, გიორგი ბარამიძე, *მეორე გამოცემა*, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2013, 226 გვ.

II. სამეცნიერო-მთარგმნელობითი სერია „ფილოსოფია-სოციოლოგიის კლასიკური და თანამედროვე ტექსტები. თარგმანები“:

ტ 1: *ნიკლას ლუმანი*: საზოგადოებრივი კომუნიკაციის სისტემის ცვლილებანი და მასობრივი მედია, გერმანულიდან თარგმნა დევი დუმბაძემ, გამომცემლობა „არხე“, თბილისი, 2007, 37 გვ.

ტ. 2: *ანრი ბერგსონი*: ცნობიერება და სიცოცხლე, ფრანგულიდან თარგმნა დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ, გამომცემლობა „არხე“, თბილისი, 2007, 44 გვ.

ტ. 3: *კარლ შმიტი*: ხმელეთი და ზღვა. მსოფლიო-ისტორიული განაზრება, გერმანულიდან თარგმნა გიორგი თავაძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 180 გვ.

III. სამეცნიერო სერია „აღმოსავლეთი და დასავლეთი – კულტურათა დიალოგი“:

ტ. 1: *ჰელმუტ შნაიდერი*: ძენ-ბუდიზმის ესთეტიკა. ვაბი-საბი და მშვენიერების ევროპული იდეა, გერმანულიდან თარგმნა გიორგი თავაძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2012, 44 გვ.

IV. ფრიდრიხ ნიცშეს რჩეული თხზულებები ქართულ ენაზე (აკადემიურ-კრიტიკული გამოცემა):

ტ. 1: ***ფრიდრიხ ნიცშე:*** *Ecce homo*. როგორ ხდება ადამიანი ის, რაც ის არის, გერმანულიდან თარგმნა, შენიშვნები და გამოკვლევა დაურთო გიორგი თავაძემ, ტომის რედაქტორები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2011, 248 გვ.

გამოსაცემად მზადაა:

ტ. 2: ***ფრიდრიხ ნიცშე***: კერპების მწუხრი, გერმანულიდან თარგმნა გიორგი თავაძემ, ტომის რედაქტორები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე.

V. ინსტიტუტის ცალკეული გამოცემები:

ფილოსოფია, სოციოლოგია, პოლიტოლოგია, რედაქტორ-შემდგენლები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, გიორგი ბარამიძე, მიხეილ გოგატიშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2007, 80 გვ.

ქართული აზროვნება, განათლების პრობლემები, ჰუმანიზმის ეპისტემოლოგია, რედაქტორ-შემდგენლები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, გიორგი ბარამიძე, მიხეილ გოგატიშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008, 76 გვ.

ალექსანდრე ჰამილტონი, ჯეიმს მედისონი, ჯონ ჯეი: ფედერალისტი. პოლიტიკური ესეები, ინგლისურიდან ქართულად თარგმნა გიორგი ბარამიძემ, სამეცნიერო რედაქტორი: მიხეილ გოგატიშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008, 584 გვ.

საზოგადოება, ცოდნის ტრანსფორმაცია, ფილოსოფია, რედაქტორ-შემდგენლები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, გიორგი ბარამიძე, მიხეილ გოგატიშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, 96 გვ.

G. Baramidze, M. Gogatishvili, L. Zakaradze, U. R. Jeck, D. J. Lacey (eds), *(Neo)Platonism and Modernity. Materials of the International Conference dedicated to Tengiz Iremadze's book „Konzeptionen des Denkens im Neuplatonismus", June 30, 2008*, Grigol Robakidze University, Tbilisi: Publishing House "Nekeri", 2009, 136 pp.

ახალი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები ფილოსოფიაში, რედაქტორები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, მიხეილ გოგატიშვილი, დოდო ლაბუჩიძე, გიორგი თავაძე, თბილისი, 2010, 50 გვ.

ალექსის დე ტოკვილი: დემოკრატია ამერიკაში, ფრანგულიდან თარგმნა დ. ლაბუჩიძე-ხოფერიამ, წინათქმა დაურთო თენგიზ ირემაძემ, სამეცნიერო რედაქტორები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, გიორგი თავაძე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011, 592 გვ.

ლეო შტრაუსი: რა არის პოლიტიკური ფილოსოფია? ინგლისურიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო გიორგი ხუროშვილმა, რედაქტორები: მიხეილ გოგატიშვილი, გიორგი ბარამიძე, თენგიზ ირემაძე, გამომცემლობა „საუნჯე“, თბილისი, 2011, 130 გვ.

თომას ჰეინი: საღი აზრი, ინგლისურიდან თარგმნა გიორგი თავაძემ, წინათქმა დაურთო თენგიზ ირემაძემ, სამეცნიერო რედაქტორები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, დოდო ლაბუჩიძე-ხოფერია, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2012, 146 გვ.

თენგიზ ირემაძე: ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე. ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევები, სამეცნიერო რედაქტორები: გიორგი ბარამიძე, ლალი ზაქარაძე, უდო რაინჰოლდ იეკი, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2013, 170 გვ.

ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობისა და გამოცემების შესახებ სრული ინფორმაცია იხილეთ ინსტიტუტის ვებ-გვერდზე: http://www.gruni.edu.ge/menu_id/808